



ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორის როლი საქართველოს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში

დიალოგი ინკლუზიურ ზრდაზე
6 ოქტომბერი, 2014

ISET MA Program in Economics
Policy Institute

International School of Economics at Tbilisi State University



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

State Secretariat for Economic Affairs SECO

დიალოგების სერია ინკლუზიურ ზრდაზე

დიალოგების სერიის მიზანია ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისაკენ მიმართული სხვადასხვა პოლიტიკის, პროექტების და პროგრამების კრიტიკული განხილვა.


ეს პლატფორმა კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს ინკლუზიური ზრდის პერსპექტივებისა და შემზღუდველი ფაქტორების ერთად განხილვის საშუალებას აძლევს.

საქართველოში შინამეურნეობებს შეზღუდული წვდომა აქვთ ენერჯის წყაროებთან

- **ენერგეტიკული სიღარიბე:** შინამეურნეობებს არ აქვთ საშუალება მოიხმარონ საბაზისო ენერგოინტენსიური მოწყობილობები როგორც არის:
 - ✓ მაცივარი
 - ✓ სარეცხი მანქანა
 - ✓ გამათბობელი/კონდიციონერი
- **ენერჯიასთან წვდომა:**
 - შინამეურნეობების დაახლოებით 28%-ს არ აქვს წვდომა ბუნებრივ აირთან
 - საქართველოს 28 სოფელში 761 შინამეურნეობას არ აქვს წვდომა ელექტროენერჯიასთან

ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერჯის მოხმარება ჩვენს რეგიონში OECD-ს საშუალოს 1/4-ია

ელექტროენერჯის მოხმარება: კვ/სთ ერთ სულზე




წყარო: World Bank, 2014

ძვირი ენერგია იხარჯება არაეფექტიანად

- **ენერგო წყაროების ხელმისაწვდომობა:**
განსაკუთრებით სოფლებში, მაღალი დანახარჯის გამო, მოსახლეობა ცდილობს შეზღუდოს ენერჯის მოხმარება:
 - ✓ შეშის ჭრით, რომელიც უფასო, ან ელექტროენერგიაზე და გაზზე იაფია
 - ✓ ზამთარში მხოლოდ ერთი ოთახის გათბობით
 - ✓ ენერგო-ინტენსიური მოწყობილობების მინიმალური გამოყენებით
- **ენერგო რესურსების არაეფექტიანი გამოყენება:**
 - ✓ არაეფექტიანად დამწვარი შეშის მაღალი წილი შინამეურნეობების ენერგო მოხმარებაში
 - ✓ ინფორმაციისა და სახსრების ნაკლებობა შინამეურნეობების ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად

საქართველოს შინამეურნეობების ენერგო მოხმარება

ენერგო რესურსების წილი შინამეურნეობების
მთლიან ენერგო მოხმარებაში




■ ელექტროენერგია ■ შეშა ■ ბუნებრივი აირი

წყარო: *Household Energy End-Use Survey, USAID, AYPEG, 2014*

საქართველოს სოფლებში შეშა არის გათბობის მთავარი წყარო

სახლების სათბობად გამოყენებული ენერჯის წყაროები
საქართველოში



წყარო: Household Energy End-Use Survey, USAID, AYPEG, 2014

შესაძლებლობები საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში

- ქსელის გარეთ მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების (ჰესების) განვითარება ელექტრო-ინტენსიური ინდუსტრიებისთვის იაფი ენერჯის მისაწოდებლად
- ჰესების მშენებლობა საჭიროებს დიდ საწყის ინვესტიციას და მშენებლობის პროცესში ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს რეგიონებში
- ენერგეტიკული პროექტები ხშირად არის მიზეზი ადგილობრივი გზების, წყალმომარაგების და ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, რასაც გრძელვადიანი გავლენა აქვს ეკონომიკურ განვითარებაზე
- წელიწადში 250-280 მზიანი დღით და 1,250-1,800 კვსთ/მ²მზის რადიაციით, საქართველოს აქვს მზის ენერჯის განვითარების პოტენციალი, რაც განსაკუთრებით გამოსადეგია, მაღალმთიან სოფლებში ელექტროენერჯის მიწოდებისათვის.

წყალმომარაგების ხარისხი და ფასები პრობლემატურია

- წყალმომარაგების ხშირი შეფერხებები თბილისში
- წყლის მიწოდება გრაფიკით ქვეყნის მაშტაბით
- წყალმომარაგების დაბალი ხარისხი საქართველოს რეგიონებში
- გამრიცხველიანების ნაკლებობის და არაადეკვატური ტარიფების გამო წყლის არაეფექტიანი გამოყენება (შინამეურნეობების წყალმომარაგება სუბსიდირებულია ბიზნესის მიერ)
- კანალიზაციის არარსებობა ან მოძველებული ქსელები რეგიონებში
- ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ნაკლებობა და წყალანირების სტანდარტების არარსებობა

წყლის მიწოდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მთავარი დაბრკოლებაა

- დაზიანებული და არაეფექტიანი ინფრასტრუქტურა სასოფლო-სამეურნეო მიწების ირიგაციისას იწვევს:
 - ✓ წყლის სიჭარბეს/დეფიციტს სოფლის მეურნეობაში
 - ✓ მოსავლის დანაკარგებს
- ირიგაციის ტარიფი განსაზღვრულია ერთ ჰექტარზე (მიუხედავად დახარჯული წყლის რაოდენობისა), რაც იწვევს არაეფექტიანობას წყლის მოხმარებაში
- გაურკვეველობა სექტორში ტარიფის გამსაზღვრელი ორგანოს შესახებ

ეს დიალოგი

- როგორ გავაუმჯობესოთ ენერგო რესურსების, კერძოდ ელექტროენერჯისა და გაზის ხელმისაწვდომობა პრიორიტეტული ბიზნესებისა და სოციალურად დაუცველი შინამეურნეობებისათვის?
- როგორ უზრუნველვყოთ ენერჯისა და წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენება?
 - ✓ ცნობიერების ამაღლებით
 - ✓ ფინანსური დაბრკოლების გადალახვით
 - ✓ ენერგოეფექტური ტექნოლოგიების სერტიფიცირებითა და ხელშეწყობით
- როგორ გადავლახოთ „პოლიტიკური ეკონომიის“ დაბრკოლებები ტარიფების შეცვლის და წყლის რესურსების მოხმარების რაციონალიზაციისათვის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებსა და ბიზნესებში?
- რამდენად კარგად მუშაობენ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული წყლის სადისტრიბუციო კომპანიები, თუ არის მათი პრივატიზაციის შესაძლებლობა?

პანელისტები

ლიზა თავდუმაძე

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

მარიამ იოსელიანი

საქართველოს ენერჯეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისია

უჩა ძიმისტარიშვილი

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია

ნიკოლოზ აბუაშვილი

საქართველოს გაერთიანებული
სამელიორაციო სისტემების კომპანია

ინიგო არენციბია

საერთაშორისო ენერჯეტიკული ექსპერტი

სიმონ აპელბი

YFN საქართველო

შესავალი და კონტექსტის მიმოხილვა

ლევან ფავლენიშვილი

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
/ცენტრი

მოდერატორი

ერიკ ლივნი

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა